

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

ოთარ მერაბის ძე კაპანაძე

ქართული საფერხულო სიმღერები:
მუსიკალური ენის თავისებურებები

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის – 1007
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა კ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სპეციალიზაცია – ეთნომუსიკოლოგია

თბილისი

2014

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნატალია ზუმბაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ექსპერტები:

ნინო მაისურაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო მახარაძე

მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 20 ივნისს, 15 საათზე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე №5.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, აუდიტორია №421

დისერტაციის ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.conservatoire.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

მაია ვირსალაძე

სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი



საკვლევი თემის აქტუალობა: ქართული მუსიკალური ფოლკლორის ფუნდამენტური კვლევის პროცესში განსაკუთრებული როლი მის ჟანრულ შესწავლას ენიჭება. თუკი გავითვალისწინებთ თითოეული მუსიკალური სახეობისადმი მიძღვნილი საგანგებო ნაშრომების სიმცირეს, მით უფრო ბუნებრივად აისხნება ჩვენი არჩენის შეჩერება ქართულ საფერხულო სიმღერებზე, რომელთა შესახებ ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში საგანგებო მონოგრაფიული კვლევა არ მოიპოვება. საფერხულო სიმღერების თავისებურებათა შესწავლა კიდევ უფრო აქტუალურია დღეს – ფოლკლორში ძველი შრეების მივიწყებისა და ახლის დამკვიდრების პერიოდში.

კვლევის ობიექტი და საგანი: საკვლევი ობიექტია ქართული საფერხულო სიმღერები. ფერხული, როგორც კოლექტიური როკვა და მღერა, ხალხური შემოქმედების სინკრეტული ჟანრია და ცხადია, მისი შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იყოს მუსიკალური, სიტყვიერი და ქორეოგრაფიული ასპექტები, თუმცა, ნაშრომის მუსიკოლოგიური პროფილის გამო, კვლევის ძირითადი საგანი საფერხულოების მუსიკალური მხარეა.

ნაშრომის ამოცანა და მიზანი: ნაშრომის ამოცანაა ქართული საფერხულო სიმღერების შესახებ მუსიკალური და ეთნოგრაფიული მონაცემების თავმოყრა და განზოგადება. კვლევის მიზანია საფერხულოების მუსიკალური ენის შემადგენელი კომპონენტების დადგენა, მათი შედარება სხვა სახეობების სიმღერებთან, ქორეოგრაფიულ და სიტყვიერ მონაცემებთან მუსიკის მიმართების გარკვევა, შესრულების სოციოლოგიური და სემანტიკური ასპექტების ახსნა.

ნაშრომის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში, ძირითადად, გამოიყენეთ მთლიანი (целостный) და შედარებითი ანალიზის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვედგინა საფერხულოების კომპოზიციური მოდელეები, გამოგვეკვლია სხვადასხვა კუთხის საფერხულოთა ურთიერთმიმართება და მუსიკალურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოგვეაშკარავებინა საფერხულოების როლი და ადგილი ამა თუ იმ რიტუალში.

კვლევის სიახლე: ნაშრომის სიახლეა ქართულ მუსიკალურ დიალექტებში არსებული საფერხულო სიმღერების მუსიკალურ ტიპებად დაჯგუფება, საფერხულოების როლის განსაზღვრა სხვადასხვა რიტუალში, ზოგიერთი მუსიკალური ტერმინის ახლებურად გაანალიზება, ჩვენ მიერ ნოტებზე გადატანილი სხვათა და საკუთარი აუდიო ჩანაწერების, ასევე, პირადად მოპოვებული აუდიო და ვიდეო მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება: ნაშრომი დახმარებას გაუწევს, როგორც მუსიკისმცოდნეებს, ისე – მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს: ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს, ეთნოლოგებს, ქორეოლოგებს. მოტიანილი სანოტო, აუდიო და ვიდეო მასალის გამოყენება შეიძლება, როგორც ფოლკლორულ ანსამბლებში, ისე – სასწავლო დისციპლინებში.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი ნაწილისა და დასკვნისგან; ახლავს სანოტო, აუდიო და ვიდეო დანართი, რამდენიმე ილუსტრაცია, გამოყენებული ლიტერატურის, მაგალითების, ექსპედიციების, ინტერვიუების ჩამონათვალი, მთქმელთა და მოხრობელთა სია.

წყაროთმცოდნეობითი ბაზა: ნაშრომი ეფუძნება გამოქვეყნებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, სანოტო კრებულებს, კომპაქტდისკებს, ინტერნეტრესურსებს; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიაში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, ფოლკ რადიოში, საქართველოს საპატრიარქოში, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმსა და პირად არქივებში დაცულ ფონო, ვიდეო, სანოტო და ხელნაწერ მასალას (წლიურ ნაშრომებს, დიპლომებს, დისერტაციებს); ექსპედიციებს, რომლებშიც ვმონაწილეობდით და რომლებიც ჩვენ მიერ ჩატარდა.

ნაშრომის აპრობაცია: დისერტაციის აპრობაცია შედგა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების სხდომაზე 2013 წლის 15 ივნისს და გაეწია რეკომენდაცია დასაცავად.

საკითხის შესწავლის ისტორია

ნაშრომის ამ მონაკვეთში მიმოვიხილათ დ. არაყიშვილის, შ. ასლანიშვილის, მ. იაშვილის, ე. გარაყანიძის, ვ. სამსონაძის, ა. თათარაძის, ვ. ბარდაველიძის, ქ. ალავერდიაშვილისა და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ქართული საფერხულო სიმღერების სიმბოლიკის, მუსიკალური თავისებურებების, ზოგიერთ სხვა ჟანრთან კავშირის, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ასპექტების ურთიერთმიმართების შესახებ.

განსხვავებულია ჩვენი მოსაზრება ტერმინ „ძნობა“-ს შესახებ, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ფერხულის ძველქართულ ტერმინად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი, 1938: 49-50)¹: ძველ ლიტერატურულ წყაროებში „ძნობა“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უკავშირდება ფერხულს; გარკვეული კავშირი ფერხულთან მხოლოდ ბიბლიის უცხოენოვანი თარგმანის შედარებისას იკვეთება. ჩახრუხადისა და შავთელის დროს (XII-XIII სს.) ეს ტერმინი ფერხულის აღმნიშვნელად უკვე აღარ იხმარება. მომდევნო პერიოდის ავტორთა განმარტებებში „ძნობა“ დაკავშირებულია ხმის შეწყობასთან, ან, ძირითადად, – საკრავებთან. ამდენად, „ძნობა“-ს ფერხულის ძველქართულ სინონიმად ვერ მივიჩნევთ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს შ. ასლანიშვილის საინტერესო მიგნებას, რომ ქართული საეკლესიო ტრადიციისთვის უცხოა საფერხულო ქმედება (ასლანიშვილი, 1954: 162)². მართლაც, საფერხულოს ინტონაციური საქცევები და კომპოზიციური მოდელები მკვეთრად განსხვავდება ქართული ტრადიციული საგალობლებისგან. მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო პრაქტიკაში (კერძოდ, საადღვომო და საქორწინო მსახურების დროს) არსებობს გარშემოვლის ტრადიცია, ის რიტმულ მსვლელობასა და, მით უმეტეს, ფერხულში არ გადადის; მუსიკალური თვალსაზრისით (მეტრ-რიტმი, ინტონაციური ფორმულები, კომპოზიციური სქემა), ამ მსვლელობისას შესასრულებელი საგალობლებიც მკვეთრად განსხვავდება ქართული საფერხულო სიმღერებისგან.

ფერხულის განსაზღვრისა და გარკვეული **ჯანრული** კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ, მისი სინკრეტული ბუნების გათვალისწინებით (პოეზიის,

¹ ჯავახიშვილი ივანე (1938). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: *ფედერაცია*.

² ასლანიშვილი შალვა (1954). *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, I. თბილისი: *ხელოვნება*.

პლასტიკისა და მუსიკის თანაარსებობა), ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: მეცნიერთა ერთი ნაწილი (შ. ასლანიშვილი, ვ. ახოზაძე, ე. ჭოხონელიძე) ფერხულს შესრულების ფორმად, ხოლო მეორე ნაწილი (ვრ. ჩხიკვაძე, ვ. მაღრაძე) – ჟანრად განიხილავს.

შესრულების ფორმად მიჩნევის ძირითადი მიზეზი საფერხულოებში კონკრეტული სოციალური ფუნქციის გაურკვევლობას უნდა უკავშირდებოდეს – ფერხული ყოფის „სხვადასხვა უბანზე“ გვხვდება; არსებობს საქორწილო, შრომის, საკულტო და ა. შ. ფერხულები. თუმცა, რადგან „სოციალურ ფუნქციაში“ არა მხოლოდ შესაბამისი დრო და ადგილი, არამედ, ფოლკლორული ნიმუშის დანიშნულებაც იგულისხმება, ჩვენი აზრით, იკვეთება საფერხულო სიმღერის ბუნებრივი ფუნქცია – მრავალი ადამიანის ერთდროული ცეკვის (როკვის) ორგანიზება. ამავდროულად, ფერხულის, როგორც მხოლოდ შესრულების ფორმის განხილვით რამდენადმე უგულვებლევყოფთ მის მუსიკალურ მონაცემებს. არადა, ჩამოყალიბებული სტილური ნიშან-თვისებების მთელი კომპლექსით, „ჟანრული სტილით“ (Coxop, 1981: 250, 265)³ – საფერხულო სიმღერა ტიპური მუსიკალური ჟანრია; მიუხედავად იმისა, რომ ფერხულის „ჰიბრიდული“ ბუნება მის მეცნიერულ დეფინიციაშიც იჩენს თავს, როგორც მუსიკოლოგი, საფერხულოებს მუსიკალურ ჟანრად განვიხილავ.

საფერხულოებს ბევრი საერთო აქვს გარკვეული კატეგორიის, კერძოდ, ფიზიკურ მოძრაობასთან დაკავშირებულ საცეკვაო და შრომის (განსაკუთრებით, მკის) მოტორულ სიმღერებთან. მართალია, რიგ შემთხვევებში, შრომის მოტორული და საცეკვაო სიმღერები მართლაც ძალიან ჰგავს საფერხულოს (ზოგჯერ ესა თუ ის საფერხულო (მაგ., *მუმლი მუხასა*) სრულდება შრომის პროცესშიც, რაც მეორეულ მოვლენად მიგვაჩნია), მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ განსხვავება მხოლოდ ტემპშია (ღვინიაშვილი, 1991: 19)⁴: ფერხულს, ძირითადად, ახასიათებს ორგუნდოვანი შესრულება, მკისა და საცეკვაოს უდიდეს ნაწილში კი – რესპონსორიუმი ან ერთიანი ბანის ფონზე ორი სოლისტის მონაცვლეობა გვხვდება; საფერხულოების ჩამოყალიბებული კომპოზიციური მოდელები ასევე არ

³ Coxop A. (1981). *Вопросы социологии и эстетики музыки II*. Ленинград: Советский композитор.

⁴ ღვინიაშვილი ირმა (1991). *მუსიკალური ჟანრი (ტიპი) ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში (ქართლის ხალხური სასიმღერო შემოქმედების მიხედვით)*. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (სადიპლომო ნაშრომი).

დასტურდება შრომის მოტორულ სიმღერებსა და საცეკვაოებში; განსხვავებულია საფერხულოების სიტყვიერი ტექსტი, შესრულების დრო და გარემო, სემანტიკა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთმანეთთან გაცილებით ახლოს დგას შრომის მოტორული და საცეკვაო სიმღერები, ვიდრე საფერხულოები. კიდევ უფრო შორეულია მსგავსება საფერხულოებსა და მგზავრულ სიმღერებს შორის, რომლებიც ასევე მოტორული ტიპის სიმღერებში ერთიანდება. ამასთან, განსხვავებების მიუხედავად, საფერხულოები შეიძლება, რომ ამ საკმაოდ ვრცელი ჟანრული კატეგორიის (მოტორული სიმღერების) შემადგენელ ერთეულადაც (ქვეკანონად) განვიხილოთ.

ნაწილი I

ქართული საფერხულო სიმღერების რეგიონული სტილები

აღმოსავლეთი საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფერხულის ძირითადი სახეობა *ფერხისა* – ხალხური რელიგიური დღესასწაულების („ხატობის“, „ჯვარობის“) განუყრელი, აუცილებელი ნაწილი.

ხევსურული *ფერხისების//ფერხისულების* (ხევსურეთში ორივე სახელწოდება თანაარსებობს) ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება მათში საგმირო ლექსების განსაკუთრებული სიუხვა; ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, *ხევსურულშიც* გვხვდება სადიდებელი ტექსტი.

ერთ-ერთი ხევსურული *საქორწინო* გვაფიქრებინებს, რომ მისი სახით, ხელთ უნდა გვქონდეს უწინ ხევსურეთში გავრცელებული *ჯვარი წინასახ* ანალოგიური საფერხულო.

ფშაური *ფერხისახ* მელოდია, ხევსურულისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა დახუნძლული მელიზმებით, ხშირად სექსტის დიაპაზონს არ სცდება, სრულდება დაბალ რეგისტრში; განსხვავებულია სიტყვიერი ტექსტიც, რომელშიც საწესო შინაარსის ხვედრითი წილი ხევსურულზე მეტია; ხევსურულზე მეტადაა გამოკვეთილი სამწილადი მეტრი რბილი სინკოპით (ფანდურით თანხლებულ ვარიანტებშიც კი).

ფშაურ საქორწინო *ჯვარი წინასახ* ნიმუშებში, მთიულურის მსგავსად, ადგილი აქვს სიტყვიერი ტექსტის ზედიზედ 4-ჯერ გამეორებას, რაც უიშვიათესია ქართულ სასიმღერო შემოქმედებაში. მუსიკალური თვალსაზრისით, ამგვარი ორმაგი მუხლი ახასიათებს ხევსურულ და ფშაურ *ფერხისებსაც*, რომლებშიც,

ჯვარი წინასახვან განსხვავებით, სიტყვები იცვლება. გარკვეული მოსაზრებების არსებობის მიუხედავად, შესრულების ამ თავისებურების ჩამოყალიბების მიზეზები მომავალი კვლევის საგანია.

ფშაურ სამიას აღმოსავლურქართული საფერხულოებისგან მკვეთრად განასხვავებს ჰანგი, ორწილადი და თავისუფალი მეტრის მონაცვლეობა, ცალპირული შესრულება, ბანში VII და I საფეხურების ხშირი მონაცვლეობა; ზოგჯერ ის აჩქარებული ფშაურის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუშური სართულებიანი ფერხულის, *ქორბელელას* ჩანაწერებს, დაწეული 1940-ანი წლებიდან ვიდრე 2012-მდე, არ ახასიათებს საფერხულოების მუსიკალური სტილი. ზოგიერთი ნიშნით (დადმავალი მელოდია, სეკვენტურობა) ის უფრო *ფერხისებს* უახლოვდება, თუმცა მსგავსება ამ შემთხვევაშიც საკმაოდ შორეულია. *ქორბელელაში* საფერხულო სინკრეტიზმის ერთგვარ დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ ორსართულიანი წრისა და სიმღერის ცალ-ცალკე მოხსენიება: ორსართულიან წრეს შუაში მდგომი მეციხოვნით *ქორბელელას* უწოდებენ, ხოლო სიმღერას – *ჯვარულს* ან *ლაშარის სიმღერას*. მოგვეპოვება ცნობები თუშური *ქორბელელას* სამპირული შესრულების შესახებ, მაგრამ სანოტო და აუდიო ვერსიები მხოლოდ ორპირულია.

ჩვენ მიერ გ. ცოცანიძისგან ჩაწერილი თუშური *ფერხისას* ჰანგიც *ქორბელელას* ანალოგიურია.

თუშური *მაყრულების* აუდიოჩანაწერები, ცვალებადი მეტრის აშკარა არსებობით, განსხვავდება მათი სანოტო ანალოგებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, სამწილადობით ხასიათდება.

გულამაყარში საფერხულო სიმღერები წარმოდგენილია *ჯვარი წინასითა* და *ფერხისებით*. ისინი ორად შეიძლება დავაჯგუფოთ: 1) ორხმიანი ნიმუშები, რომლებიც ახლოს დგას ფშაურ-ხევსურულთან და 2) სამხმიანი სიმღერები, რომლებიც მთიულურ (ნაწილობრივ – მოხეურ) საფერხულოებს ენათესავება. მიუხედავად იმისა, რომ გულამაყრული ორხმიანი *ფერხისები* უაღრესად ემსგავსება ფშაურ-ხევსურულს, მცირე განსხვავებები მაინც არსებობს: გულამაყრული ვარიანტების უმეტესობა შეძახილით იწყება და მხოლოდ შემდეგ მოსდევს ტექსტი; ადგილი აქვს შეჭრილ კადანსს (ტერციულს ან კვარტულს); გულამაყრულის მელოდიკა უფრო გართულებულია; რეგულარული მეტრ-რიტმიდან გადახვევა ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ სამწილადი მეტრის შემჩნევა რთულდება;

გუდამაყრული *ჯვარი წინასას* მუხლი გრძელია (5 ტაქტი), განსხვავებით სხვა კუთხეებში გავრცელებული ამავე სახელწოდების სიმღერათა უმრავლესობისგან: გუდამაყარში *ჯვარი წინასა* და *ფერხისა* იდენტური სტრუქტურული აგებულებისაა; მთლიანობაში, სამხმიანობის არსებობის მიუხედავად, გუდამაყრული საფერხულოები გაცილებით უფრო ენათესავენა ფშაურ-ხევსურულს, ვიდრე – მთიულურ-მოხეურს.

საფერხულო სიმღერებით მრავალფეროვანია **მთიულეთი**; აქ, ფერხულად სახელდებული სიმღერების გარდა, მოგვეპოვება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა მუსიკალური აღნაგობა საფერხულოთა იდენტურია. მთიულური *ფერხისები* სამხმად სრულდება. მთიულურში (განსაკუთრებით – სიმღერის დაბოლოებისას) გვხვდება აღმოსავლუქართული საფერხულოებისთვის დამახასიათებელი გლოსოლადია „არალო“ („დარალო“, „დარაღაღე“). მთიულური *ფერხისა*, მუხლის სეკვენტური აგების პრინციპითა და მუხლის სიგრძით, ფშაურ-ხევსურულსა და გუდამაყრულს ენათესავენა, თუმცა მათგან განსხვავდება კიდეც: მთიულური *ფერხისა* აუცილებლად სამხმად სრულდება; გრძლიობების გახანგრძლივებისა და შეფერხებების ხარჯზე, ვიდრე ერთგვარ „გაწელილ“ სტრუქტურას; ფშაურ-ხევსურულისგან განსხვავებით (გუდამაყრულის მსგავსად), ზოგიერთ მთიულურ *ფერხისაში* გვხვდება ტერციული და კვარტული შეჭრილი კადანსები;

ჩვენ მიერ ფიქსირებული *ღომისურის* საფერხულო პანგი აგებულებით *ფერხისათა* რიგს განეკუთვნება.

მთიულეთში ჩავიწერეთ ფერხული *იავნანას* სტრუქტურის რეფერენით. მოხეური *იავნანას* ტიპის საფერხულოებისგან განსხვავებით, მასში არ გვხვდება საწყისი აღმავალი სვლა (ამ მხრივ იგი *ფერხისების* დაღმავალ მელოდიურ სტილს „სესხულობს“).

გუდამაყრულის მსგავსად, ზოგიერთი მთიულური *ჯვარის წინასას* აგებულება ემთხვევა *ფერხისასას*, ზოგჯერ კი მუხლი *ფერხისაზე* მცირე შედგენილობისაა. გვხვდება *ჯვარი წინასას* ორნაწილიანი ვარიანტიც; პირველი ნაწილი შედარებით დინჯად, მეორე კი უფრო სწრაფად სრულდება. პირველი ნაწილი შეიძლება განვიხილოთ: 1) როგორც ფერხულის შესავალი და 2) როგორც ნელი ფერხული, რომელსაც შემდეგ ჩქარი ფერხული ცვლის – ევროპის ზოგიერთ ხალხში არსებული ანალოგიური მოვლენის მსგავსად (Владыкина-Бачинская, 1964. 1-3)⁵.

⁵ Владыкина-Бачинская Н. (1964). *Подмосковные хорыводы*. Москва: Наука.

მთიულური მუსიკალური აზროვნების განვითარებულობასა და ბარის რეგიონებთან სიახლოვეს ორნაწილიანი ფერხულების არსებობაც ადასტურებს.

მთიულეთში ჩაწერილია საფერხულო წყობის *ნამგლურიც*, რომელიც, ერთი მხრივ, ჰგავს ფშაურ *ჯვარი წინასას*, მეორე მხრივ, – ქართლ-კახეთში გავრცელებულ ამავე სახელწოდების შრომის სიმღერებს. ამ სიმღერის საფერხულო წყობა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში შრომის დროს ფერხულის დაბმის ტრადიცია და მთიულეთში ყანიდან დაბრუნებისას სათქმელი *ფერხისა* გვაფიქრებინებს, რომ მკის სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებული ფერხული მთიულეთშიც შეიძლება არსებულებოდა.

მოხეური *დიდებას* შესრულების ტრადიცია, ისევე, როგორც ამ სახელწოდების სიმღერების უდიდესი უმრავლესობისა, საფერხულო უნდა ყოფილიყო; სხვათა მსგავსად, ისიც ორპირულია. *დიდებაში* შეინიშნება რეგულარულად აქცენტირებული მეტრ-რიტმის დარღვევა, რაც, ძირითადად, მეორეულ შემსრულებლობას უკავშირდება; ძველ სანოტო და ფონოჩანაწერებში, თავისუფალ მეტრთან ერთად, ყოველთვის მკაფიოდ შეიგრძნობა სამწილადობა და რეგულარულად აქცენტირებული მეტრ-რიტმი. მთიულურის მსგავსად, სტრუქტურის „გაწევის“ ტენდენცია მოხეურ საფერხულოებშიც შეინიშნება.

არსებობს *იავნანას* სტრუქტურის მოხეური საფერხულოების ორი ვარიანტი: 1) მკაფიოდ გამოხატული სამწილადობის შემცველი (*გერგეტულები*) და 2) ორწილადი სიმღერები (*ხარული*). მათ შორის ძირითადი სხვაობა სწორედ მეტრი, მუსიკალური ქარგა კი საერთო აქვთ. საფიქრებელია, რომ ამ ორი მუსიკალური ტიპიდან სამწილადი უფრო ადრეული, ორწილადი ვარიანტი კი – შემსრულებლობაში შესული ცვლილებების შედეგი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა კუთხეებიდან მხოლოდ ხევში ფიქსირდება ქალთა საფერხულო *ფერხისა*. ის კახელ ქალთა *დიდებას* მოხეურ ანალოგად შეიძლება მივიჩნიოთ (ზუმბაძე, 1997: 62)⁶.

სამწილადობით ხასიათდება მოხევე ქალთა *იავნანებიც*, თუმცა შესრულების საკმარის სწრაფი ტემპი, ასევე, მოდულაციური გადახრები, მათ განასხვავებს საფერხულო სიმღერებისგან.

⁶ ზუმბაძე ნატალია (1997). *სავედრებელი და სადიდებელი სიმღერები ქართველ ქალთა საწესწევულებო ფოლკლორში: ქართული სპეციფიკა და მრავალხმიანობა*. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (დისერტაცია).

მთიულურის მსგავსად, ხევიც გვხვდება ორნაწილიანი საფერხულო და ზოგჯერ – ბანის მელოდიზების შემთხვევაც. მოხეური და მთიულური საფერხულოების სტილური მსგავსება, თავის მხრივ, ამყარებს ე. გარაყანის პოზიციას – მთიულურისა და მოხეურის ერთ მუსიკალურ დიალექტად გაერთიანებას.

ერწო-თიანური საფერხულოები აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის შუალედური რგოლია. აქაურ საფერხულო წყობის სიმღერებში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს მთისა და ქართლ-კახურის (უფრო მეტად – ქართლურის) იდენტური სახელწოდებისა და მუსიკალური აღნაგობის საფერხულოები, თუმცა ამ უკანასკნელთ განსხვავებული, თავისებური, თიანური ელფერი დაჰკრავს.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მუსიკალური აზროვნების მაღალგანვითარებულობა საფერხულო სიმღერების მრავალფეროვნებაშიც გამოიხატება. ქართლსა და კახეთში საფერხულოები გვხვდება ქალთა და მამაკაცთა სასიმღერო შემოქმედებაში.

ქართლელ ქალთა რეპერტუარში საფერხულო წყობის სიმღერები რამდენიმე ვარიანტადაა წარმოდგენილი, თუმცა ფერხულის დაბმის ტრადიცია ბევრ მათგანში გაქრა.

ქართლში ფართოდაა გავრცელებული *იანანა*; ამ ჰანგზე, უკეთ რომ ვთქვათ, სტრუქტურაზე, სხვადასხვა სოციალური დანიშნულების სიმღერა აიგება. ამავე კონსტრუქციაზე აგებულ სხვა სიმღერებთან შედარებით, *იანანა*, რიგ შემთხვევებში, უფრო შორდება საფერხულო წყობას, რაც სხვადასხვა დროსა და გარემოში შესრულებას, სოციალური ფუნქციის შეცვლას უნდა განეპირობებინა.

ქართლური *სამიას* ჩაწერილი ნიმუშიც, ფშაური ვარიანტის მსგავსად, განსხვავდება ტიპური საფერხულო წყობისგან; უფრო ზუსტად – *სამიას* სიტყვიერ ტექსტსა და ჰანგს გვიანდელი იერი, ერთგვარი რედაქტირება ეტყობა. რეგულარულად აქცენტირებული სამწილადი მეტრი და რეფრენი კი, ფშაურ *სამიაზე* მეტად, ქართლურის საფერხულო წარმომავლობას ადასტურებს.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქართლური საფერხულო წყობის *მერული*, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ტონის დომინირებით და მხოლოდ მეორე, მცირე მონაკვეთში აიღება VII (ან II-VII) საფეხური. ეს სიმღერები ქართლში იმდენად ხშირია, რომ მას, პირობითად, „ქართლური საფერხულო“ ტიპი შეიძლება ვუწოდოთ. ამ მუსიკალურ სტრუქტურას ორი ვარიანტი გააჩნია: 1) პირველი მონაკვეთი *იანანას* პირველ წინადადებას ემთხვევა, ხოლო მეორე –

შორისდებულზე აიგება; 2) განსხვავდება მეორე ნაწილი, რომელშიც პირველი წინადადების რომელიმე სიტყვას მეორდება.

სართულებიანი ფერხულის, *ზემერელოს* მუსიკალური ტიპი სხვა ქართლურ სიმღერებშიც გვხვდება (მაგ., *თინანო*). მათ აერთიანებს საერთო მელოდიური ქარბა, მოკლე მუხლი, ფრიგიული კადანსი, რის საფუძველზეც, ქართლში, „იანანასა“ და „ქართლური საფერხულოს“ გვერდით, შეიძლება კიდევ ერთი მუსიკალური ტიპის, პირობითად, „ზემერელოს“ გამოყოფაც.

ქართლური მუსიკალური ყოფისთვის დამახასიათებელია ე. წ. „შედგენილი მელოდიის“ (გაბისონია, მესხი, 2005: 20)⁷ მქონე სიმღერები (*თებრონე; მოლი, აქ დაჯექ შეილო*), რომელთა მეტრ-რიტმი ჩამოჰგავს საფერხულოებს (ცნობა ზოგიერთი მათგანის საფერხულო შესრულებაზე ჩვენს ექსპედიციებშიც მოვიპოვეთ).

ქართლში გავრცელებულია ორნაწილიანი საფერხულოები: 1) პირველი ნაწილი არასაფერხულოა და შესავლის ფუნქცია აქვს; 2) ორივე ნაწილი საფერხულო წყობისაა. უკანასკნელ შემთხვევაში, ხევისა და მთიულეთის მსგავსად, ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს ნელი და ჩქარი ფერხული.

კახეთში საფერხულო სიმღერებს ვხვდებით ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარში. კახური საფერხულოების ნაწილი იმავე ინტონაციურ და პარმონიულ კანონზომიერებს ეფუძნება, რასაც ქართლური; ამავდროულად, არსებობს განსხვავებული დასახელებისა და მუსიკალური აღნაგობის ნიმუშებიც.

ქალთა საფერხულო წყობის სიმღერებიდან კახეთში გავრცელებულია *იანანას*. ქართლური ვარიანტებისგან განსხვავებით, კახურმა უკეთ შემოინახა ორპირული შესრულების ტრადიცია (იგივე ითქმის, ქალთა სხვა საფერხულო წყობის სიმღერებზეც – *გონჯასა* და *დიდება ზე*) (ზუმბაძე, 1996)⁸.

დანიშნულებითა და მუსიკალური აღნაგობით უდავოდ გამოირჩევა კახელ ქალთა *დიდება*, რომელიც ყურადღებას იქცევს ადმოსავლეთ საქართველოს მთის *ფერხისებთან* მჭიდრო კავშირით: 1) *ფერხისაც* და *დიდებაც* რელიგიური დღესასწაულის განუყრელი ნაწილია; 2) მსგავსია სიუჟეტური ქარბა (ორივეგან სხვადასხვა სალოცავები იხსენიება); 3) ორივე მათგანი სრულდება გზაშიც და –

⁷ გაბისონია თამაზ, მესხი თამარ (შემდგენლები) (2005). *ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება: სახელმძღვანელო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტთათვის*. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

⁸ ზუმბაძე ნ. (1996). *ამინდის ხვედრებლები ქართველ ქალთა სახიმღერო ტრადიციაში*. ჟურნალში: *ხელოვნება*, №1-2-3 (45-51).

ფერხულადაც; 4) სიმღერის ბოლოს ორივეს დასალოცი შეძახილები ახლავს; 5) *ფერხისას* და *დიდებას* მსგავსი მუსიკალური სტრუქტურა უდევს საფუძვლად – ორი ნაწილისგან შემდგარი დაღმავალი მიმართულების მქონე მელოდია სამწილადი მეტრით, ძირითადად, 5 ტაქტიანი ნაგებობა. მუსიკალურ და ფუნქციურ მსგავსებას თავად ეთნოფორებიც ამხნევენ. რიგ შემთხვევებში, *დიდებას* ერთობლივად ასრულებენ ქალები და მამაკაცები, რაც წინაქრისტიანულ რელიგიურ რიტუალში ორივე სქესის თანამონაწილეობის ერთგვარ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ.

კახელ მამაკაცთა საფერხულოები ქალთაზე განვითარებულია, განსხვავებულია მუსიკალური მოდელებიც. ქალთა ფერხულების მსგავსად, მამაკაცთა საფერხულოების ნაწილი *იავნანას* სტრუქტურას ეფუძნება. ქართლის ანალოგიურად, კახეთშიც ხშირია ორი ნაწილისგან შემდგარი ნიმუშები, გვხვდება საფერხულო წყობის *მაყრულიც*; ნიშნდობლივია, რომ კახეთში არ ფიქსირდება „ქართლური საფერხულოს“ მუსიკალური ტიპი (არსებობს კახური *შავლეგოს* ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, ნასესხებად შეიძლება მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ კახურ *შავლეგოებს*, ამ ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ქართლურისგან განსხვავებული ჰანგი აქვს).

კახური *ჯგარი წინასას* ჩანაწერები, რომლებიც *იავნანას* სტრუქტურას ეფუძნება, განსხვავდება, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთის, ისე – თიანური და ქართლური ნიმუშებისგან.

კახური სართულებიანი ფერხულის, *ვაი, საბრას* სახელწოდება და რეფრენი „საბრალე“ (მუსიკალური ჩანაწერი არ მოგვეპოვება) პირდაპირ მოგვაგონებს მეგრულ საფერხულო *ძაბრას*. არსებობს მეგრული და ქართლ-კახური საფერხულო წყობის სიმღერების სხვა მუსიკალური პარალელებიც, რაც საერთო ქართველური მუსიკალური „ფუძე ენის“ (ნ. მაისურაძის ტერმინი) მუსიკალურ მაგალითებად მოჩანს.

დანიშნულებისა და მუსიკალური აღნაგობის თვალსაზრისით, გამორჩეული საფერხულოა *მუმლი მუხასა*. ეს სიმღერა, *მამლი მუხასას* სახელწოდებით, გავრცელებულია მესხეთში და არ გვხვდება ქართლში, თუმცა სტრუქტურულად ემთხვევა *ზემერელის* მუსიკალურ ტიპს – სახეზეა მოკლე, 4-ტაქტიანი მუხლი, მსგავსი ჰანგი, ფრიგიული კადანსი. *მუმლი მუხასაში* შემორჩენილია ხეთა თავყანისცემის ანარეკლი, მაგრამ, ტექსტის ტრანსფორმირების შედეგად, იგი ე. წ. „პატრიოტულ“ სიმღერად იქცა. *მუმლი მუხასა* ზოგჯერ შრომის სიმღერების

პოპურშიც ერთიანდება და საგულისხმოა, რომ *ივენანას* სტრუქტურის ზოგიერთი სიმღერა (მაგ., *გლესამ და გლესამ ნამგალო*), ამგვარ შემთხვევებში *მუბლი მუხასახთვის* დამახასიათებელ მუსიკალურ ერთეულებს ეფუძნება.

სინგილოში ფერხულის აღმნიშვნელი საგანგებო ტერმინი არ შემორჩა. აქ როკვას, იქნება ის ინდივიდუალური თუ – ჯგუფური, ეწოდება „შუშრობა“ („შიპრობა“, „შიფრობა“, „შუფრობა“), ამიტომ ხშირად გაურკვეველია, სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი „შუშრობა“ უბრალოდ ცეკვაა, თუ – ფერხული. რაც შეეხება მუსიკალურ მასალას, „შიპრობის“ თანხლებად, ძირითადად, გამოიყენება საკრავიერი მუსიკა, რომელშიც აზიური მუსიკის გავლენა იგრძნობა. შედარებით უფრო ახლოს დგას საფერხულო წყობასთან გ. კრავიშივილისა და მ. ტარტარაშვილის მიერ ჩაწერილი სამწილად ზომაზე აგებული ერთხმიანი *მაერული*.

აღმოსავლურქართული მუსიკალური დიალექტების ჭრილში განვიხილავთ **მესხურ** საფერხულო სიმღერებსაც, რომლებიც ზოგიერთი ნიშნით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საფერხულოებს ენათესავება. უცხოური მუსიკის მძლავრი ზეგავლენის ფონზე, მესხური საფერხულოები იმ იშვიათ სიმღერათაგანია, რომელმაც მართალია, უმეტეს შემთხვევაში – ცალხმად, მაგრამ მაინც შეურყენელად შემოინახა მესხური მუსიკის სპეციფიკური თავისებურებანი. აქაური საფერხულოები იმითაც გამოირჩევა, რომ ერთხმიანის პარალელურად, გეხვდება მრავალხმიანი ნიმუშებიც, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მესხურ მრავალხმიანობაზე.

მესხეთისთვის დამახასიათებელია ორნაწილიანი ფერხულების სიჭარბე; ამგვარ ვარიანტებში პირველი *დიდება*, ხოლო მომდევნო – უშუალოდ ფერხული; ამასთან, პირველი ნაწილის მუსიკალური მასალაც აშკარად საფერხულოა. ზოგიერთი მესხური ფერხული (*შავლეკო*, *სამყრელი*) ქართლში გავრცელებულ მუსიკალურ მოდელებთან ჰპოვებს საერთოს.

მესხეთი ის უაღრესად იშვიათი კუთხეა, რომელშიც ამინდის მართვის სიმღერა *ლაზარე* ფერხულის თანხლებით სრულდებოდა. მისი ერთადერთი ჩამწერისთვის, ეთნომუსიკოლოგ ვ. სამსონაძისთვის მიწოდებული ცნობით, ქალები *ლაზარობის* დროს „სამაიასებურად“ ჩამოუკვლიდნენ ხოლმე. მესხური *ლაზარე*, აღმოსავლეთ საქართველოს ამინდის მართვის სიმღერების მსგავსად, *ივენანას* სტრუქტურისა და სამწილადი მეტრით ხასიათდება.

მესხური სუფრულები სათვის ასე დამახასიათებელი სამპირული („სამხანად“) მღერის ტრადიცია არ დასტურდება ფერხულებში, ისინი შესრულების ორპირულ ფორმას ეფუძნება.

აღმოსავლურქართული საფერხულოები (რომელთა შორის განვიხილავთ მესხურსაც), მყარი სტილური ნიშნებით ხასიათდება, ესენია: სამწილადობა რბილი სინკოპით, აქცენტირებული მეტრ-რიტმი, ორპირულობა, შესრულების დინჯი ტემპი. ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები იმდენად მტკიცეა, რომ ამ ნიშნების არმქონე ზოგიერთი საფერხულო სიმღერა მასში საფერხულო ჰანგის გაქრობას გვაფიქრებინებს; გამონაკლისის სახით, არსებობს ორწილადი ზომის საფერხულოებიც, თუმცა მათი შედარება იმავე სტრუქტურის სამწილად ვარიანტებთან ამ უკანასკნელის პირველადობასა და ორწილადი ნიმუშების გვიანდელ წარმომავლობას გვაფიქრებინებს.

აღმოსავლეთ საქართველოს საფერხულო სიმღერების სიტყვიერ ტექსტზე დაკვირვება მათში მარცვალშიდა გამღერების არარსებობას ააშკარავებს; ხშირია შორისდებულების ან მარცვლის მიმატება სიტყვის ბოლოს ან სიტყვებს შორის, მაგრამ არა სიტყვის შიგნით. აღმოსავლეთ საქართველოს საფერხულოების მუხლის დამაბოლოებელ ტაქტში მხოლოდ ერთი მარცვალი მღერდება.

ზოგიერთი საფერხულოს დასაწყისში პირველი მხარე ორჯერ ამბობს სტრიქონს და მხოლოდ შემდეგ გადააქვს მოპასუხეს, რომელიც იმავეს მხოლოდ ერთხელ გაიმეორებს. ამის შემდეგ პირველიც და მეორეც სტრიქონს მხოლოდ თითოჯერ იტყვიან. ხევესურული, ფშაური, გუდამაყრული და მთიულური საფერხულოების სტრუქტურული თავისებურება – ორმაგი მუხლის არსებობა – შესაძლოა, შესრულების აღნიშნული ფორმის მოდიფიკაციის შედეგი იყოს.

აღმოსავლეთ საქართველოში საცეკვაო//სათამაშო და საფერხულო სიმღერები, მსგავსების გარდა, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება კიდევ: 1) საფერხულოები სამწილად ზომას ეფუძნება, საცეკვაო – ორწილადს; 2) საფერხულოების უდიდესი ნაწილი ორ გუნდად სრულდება. საცეკვაოც ორპირულად სრულდება, თუმცა აქ, ორი გუნდის ნაცვლად, სოლისტი და გუნდი მონაცვლეობს; 3) საცეკვაო სრულდება მხოლოდ საკრავზეც, სიმღერის გარეშე, მაშინ, როცა ფერხულს აუცილებლად სიმღერა ახლავს; 4) საფერხულოებში მეორე გუნდი ზუსტად იმეორებს პირველის ტექსტს (რეფერენის ჩათვლით), საცეკვაოში ლექსს სოლისტი ამბობს, გუნდი კი მხოლოდ რეფერენით პასუხობს.

აღმოსავლეთ საქართველოს საფერხულო სიმღერების ინტონაციური კავშირი შეინიშნება შრომის მოტორულ, კერძოდ, მკის სიმღერებთანაც. მკის სიმღერების ერთი ნაწილი, კერძოდ, ორწილად მეტრზე აგებული, პირდაპირ ენათესავება *სათამაშოებს*, ხოლო სამწილადი ზომის შემცველი სიმღერები – საფერხულოებს. მუსიკალურ მსგავსებასთან ერთად, შეინიშნება განსხვავებაც, კერძოდ: როგორც წესი, მკის სიმღერები (*სათამაშოების* მსგავსად) ორი სოლისტის მონაცვლეობას ეფუძნება, ერთი ყოველთვის მხოლოდ ლექსით, მეორე კი მხოლოდ გლოსოლალიებით მღერის.

აღმოსავლეთ საქართველოში საფერხულოები გვხვდება, როგორც რეფრენით, ისე – რეფრენის გარეშე. რეფრენის მქონე საფერხულოები, ძირითადად, ბარის რეგიონებშია გავრცელებული, მთის დიალექტებიდან კი – მხოლოდ ყველაზე მაღალაგანეთარებულში, მოხუერ-მთიულურში (გ. ცოცანიძის ცნობაზე დაყრდნობით, რეფრენიანი საფერხულოს არსებობა თუშეთშიც სავარაუდოა).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის *ფერხისების* უდიდეს ნაწილში, როგორც წესი, საგმირო ტექსტიც სრულდება ხოლმე. ნ. ვალიშვილის აზრით, საგმირო ტექსტების აუცილებელ ელემენტად დამკვიდრება, დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნიდან თემის მფარველი უძლიერესი ღვთაების სალაშქრო-მეომრული ფუნქციის წინ წამოწევის გამო უნდა მომხდარიყო (ვალიშვილი, 1986: 49)⁹.

აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა საფერხულო სიმღერა ერთსა და იმავე ფეხის მოძრაობაზე სრულდება; აღმოსავლეთ საქართველოს მთის *ფერხისებსა* და *ჯვარი წინახებს* მარჯვენა ფეხზე მარცხენის მიდგმა და ამგვარად მოძრაობა ახასიათებს. საკუთარ დაკვირებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფერხულების უდიდეს ნაწილში ფეხს სიმღერის რიტმს არ აყოლებენ და ჩვეულებრივი ნაბიჯით მოძრაობენ. მსგავსი შემთხვევები ევროპის ზოგიერთ ხალხებშიც (ლიტველებში, რუსებში) შეინიშნება, ე. ი. ნელ საფერხულოში ტანის (ფეხის) მოძრაობა არ ემთხვევა სიმღერის რიტმს, რაც საცეკვაო სტიქიის შესუსტებით აიხსნება (Соколов, 1983: 133)¹⁰.

აღმოსავლეთ საქართველოში ფიქსირდება ორნაწილიანი საფერხულოები, რომელთაგან, ტრადიციულად, ორივე საფერხულო წყობისაა. მსგავს შემთხვევებში

⁹ ვალიშვილი ნანა (1986). *მთის მუსიკალური ფოლკლორი XIX საუკუნის ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაში*. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (სადავლოშო ნაშრომი).

¹⁰ Соколов А. А. (1983). *Проблема изучения танцевального фольклора*. В сборнике: *Методы изучения фольклора*. от. ред. В. Е. Гусев. Ленинград: ЛГИТМиК.

ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს ნელი და ჩქარი ფერხულები (პირუკუ შემთხვევები არ მოგვეპოვება), შესაძლოა, განსხვავებული ფეხის მოძრაობითაც.

რიგ შემთხვევებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგიერთ დიალექტში სიმღერების სოციალური ფუნქცია არ არის შემოსაზღვრული – მაგალითად, *ფერხისა* იმღერება ხატობაშიც, ქორწილშიც და შრომის დროსაც (თუშიშვილი, 1997: 37)¹¹.

აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება გამოიყოს საფერხულო წყობის სიმღერების რამდენიმე ძირითადი კომპოზიციური მოდელი, მუსიკალური სტრუქტურა, რომელიც, ამავდროულად, გარკვეული სემანტიკის შემცველიცაა:

1) ყველაზე მოკლე შედგენილობის – აღმოსავლეთ საქართველოს მთის *ჯვარი წინასა* (ფშაური, მთიულური), კახური *მუმლი მუხასა* და ქართლური *ზემყრელო* (პირობითად, *ჯვარი წინასა-მუმლი მუხასას* ტიპი). ისინი ხშირად იმღერება ქორწილში, ფიქსირდება მათი შესრულება ორ და სამსართულიანი ფერხულების სახით. მთის ვარიანტები ორ, ბარისა კი სამსაფეხურიანი ბანით ხასიათდება. მელოდია დაღმავალი მიმართულებისაა. სიმღერებს მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ; ეს საფერხულოები, ძირითადად, მოსავლიანობისა და ნაყოფიერებას უკავშირდება, რაზეც მეტყველებს მათი შესრულება შრომისა და ქორწილის დროს – ორივე შემთხვევაში ბარაქიანობისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი არაერთი სიმბოლური ქმედება დასტურდება. ქორწილში ის, ძირითადად, კერიის გარშემოვლის დროს სრულდებოდა. კერია და დედაბოძი კი, მასზე გამოსახული ბორჯღალით, ნაყოფიერებასთან ერთად, პირდაპირ კავშირშია მზის კულტთან, რომელიც კაკასიურ ენოლითში უკვე განვითარებულია (კიკვიძე, 1976: 157)¹². აღნიშნული ტიპი ხშირად სართულებიანი ფერხულის სახითაც გვხვდება, რაც ზოგჯერ მუხის სიმბოლურ გამოხატულებად მიიჩნევა (ნანობაშვილი, 1988: 99-100)¹³. მუხა, როგორც მსოფლიო ხალხებში მიჩნეული წმინდა ხე და დვთაებათა ერთგვარი სადგომი, ამ შემთხვევაში, მზესთან კავშირში უნდა იყოს. ამდენად, აღნიშნული მუსიკალური ტიპი მზის კულტის სიმბოლოდაც შეიძლება წარმოვიდგინოთ;

¹¹ თუშიშვილი ნინო (1997). *მთიულური და გულამაყრული საბუხიკო შემოქმედება*. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (სადიპლომო ნაშრომი).

¹² კიკვიძე ი. (1976). *მწიქათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება.

¹³ ნანობაშვილი ბიძინა (1988). *საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)*. თბილისი: მეცნიერება.

2) ფერხისა-დიდებას ტიპი, რომელიც საკულტო ქმედების განუყრელი ნაწილია. მელოდია დაღმავალი ტიპისაა. ეს საფერხულოები სრულდება ძირითადად მამაკაცთა, ასევე ქალთა მიერ და შერეულადაც; როგორც წესი, უკავშირდება უწინდელი მთვარის კულტისადმი მიძღვნილ რელიგიურ დღესასწაულებს, თითქოს საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი მუსიკალური მოდელია. აღნიშნულ საფერხულოებს ე. წ. „სადიდებელი“ (ნ. ზუმბაძის ტერმინი) ფუნქცია აქვს. დადასტურებულია მისი არსებობა ქორწილშიც;

3) პირობითად, ქართლური საფერხულოს ტიპი, რომელიც ასევე გავრცელებულია თიანეთსა და მესხეთში. მელოდიაში მონაცვლეობს დაღმავალი და აღმავალი მიმართულებები. გვხვდება, როგორც მისადაგებელი, ისე მიუსადაგებელი სახით; უფრო მეტად, გამოიყენება საქორწილო რიტუალსა და ბერიკაობა-ყენობაში, რაც მას პირდაპირ აკავშირებს მოსაველიანობისა და გამრავლების რწმენა-წარმოდგენებთან;

4) იავნანას ტიპი, რომელიც გავრცელებულია, როგორც მთის, ისე ბარის მუსიკალურ დიალექტებში; წარმოდგენილია მისადაგებულ და მიუსადაგებულ სიმღერებში; თანაბრად გამოიყენება ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარში. ამ სიმღერების მელოდია, ძირითადად, საწყისი აღმავალი მოძრაობისაა, თუმცა გვხვდება საწყისი დაღმავალი ხაზიც, რაც ფერხისა-დიდებას მელოდიკასთან ასოცირდება; ქალთა მიერ შესრულებულ ამ ტიპის სიმღერებს, ძირითადად, ე. წ. „სავედრებელი“ (ნ. ზუმბაძის ტერმინი) ფუნქცია გააჩნია (იავნანა, ლაზარე), მამაკაცთა ნამღერი და შერეულად შესრულებული ვარიანტები კი გვხვდება საკულტო დანიშნულებისა (გერგეტულა) და გარკვეული ტოტემური რწმენის გადმონაშთების შემცველ, ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ სანახაობებში (დათოს ფერხული). ამ მუსიკალურ სტრუქტურას მხოლოდ ერთ რომელიმე გარკვეულ მსოფლმხედველობრივ სფეროსა და სოციალურ ფუნქციას ვერ მივაკუთვნებთ; იავნანა, რომელიც თავდაპირველად მთვარის კულტს უკავშირდებოდა, ერთგვარ უნივერსალურ მუსიკალურ მოდელად იქცა და სხვადასხვა რიტუალში შეაღწია;

5) პირობითად, გრძელი მუხლის საფერხულო სიმღერები (ქართლური საბია და ქალების ფერხული, მესხური ავთანდილ გადინადირა), რომლებიც ბარის მუსიკალურ დიალექტებშია გავრცელებული და, უფრო მეტად, მიუსადაგებელი ტიპისაა; სრულდება ცალკე ქალთა, ცალკე მამაკაცთა მიერ და შერეულად; მელოდიაში ერთმანეთს ენაცვლება აღმავალი და დაღმავალი მიმართულება;

6) პირობითად, შედგენილი მუხლის, საფერხულო წყობის სიმღერები (*თებრონე; მოდი, აქ დაჯექ, შეილო*), რომლებიც ბარის მუსიკალურ დიალექტებშია გავრცელებული. ზოგიერთის საფერხულო შესრულებაზე პირდაპირი ცნობებიც მოგვეპოვება. ძირითადად, მიუსადაგებელია, თუმცა უწინ შესაძლოა, რიტუალშიც შესრულებულიყო. ახასიათებს მელოდიაში აღმავალი და დაღმავალი მიმართულების შერწყმა. ეს სიმღერები სრულდება ცალ-ცალკე მამაკაცთა და ქალთა მიერ, ასევე – შერეულად.

მე-5 და მე-6 სტრუქტურის სიმღერები, როგორც წესი, გასართობი მიზნით სრულდებოდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი (მაგ. *თებრონე*) ნაყოფიერებისა და გამრავლების კულტთან დაკავშირებულ რიტუალებსაც უნდა ხლებოდა.

მუსიკალური განვითარების დონისა და ტიპური თავისებურებების მიხედვით, პირობითად, შეიძლება საფერხულოების ამგვარი დაჯგუფება: თუშური, ხევსურული-ფშაური-გუდამაყრული, მთიულური-მოხეური, მესხური, თიანური-ქართლური-კახური. გუდამაყრულისა და მთიულურის შუალედურად მიგვაჩნია ჩვენ მიერ ჩაწერილი ჭართლური ვარიანტები: განსხვავებით მთიულურისგან, ჭართლურს არ ახასიათებს სტრუქტურის გაწვლვა, სამაგიეროდ, ჩამოყალიბებული სამხმინანობით ის უფრო ახლოს დგას მთიულურთან, ვიდრე – გუდამაყრულთან. მოხეური საფერხულოები გარდამავალია, ერთი მხრივ, აღმოსავლეთის მთასა, და, მეორე მხრივ, – რაჭულს შორის.

აღმოსავლეთ საქართველოში (კერძოდ, მესხეთში), ზოგიერთ შემთხვევაში, მუსიკალური და საცეკვაო მუხლი ერთმანეთს არ ემთხვევა. აღმოსავლეთ საქართველოში საფერხულო იღეთების მასიური დაკარგვის გამო, სხვა ამგვარი ფაქტის არსებობა ჩვენთვის უცნობია. მთის კუთხეების *ფერხისებში* ჩვეულებრივი, რიტმულად თავისუფალი ნაბიჯით გადაადგილების საფერხულო იღეთად მიჩნევა რთულია.

დასავლეთი საქართველო

ფერხულებით განსაკუთრებით მდიდარია რაჭა; საქართველოში, საფერხულო სიმღერების სიმრავლით, იგი მხოლოდ სვანეთს ჩამოუვარდება. რაჭული საფერხულოების უდიდესი ნაწილი სამწილადია და მათი კომპოზიციური მოდელები აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურია; ორწილადი საფერხულოების რიცხვი მცირეა; ზოგჯერ ისინი მეზობელი კუთხეებიდან ნასესხების შთაბეჭდილებას ტოვებს.

რაჭაში საფერხულო სიმღერების სუფრულად გადაცევის ტენდენცია შეინიშნება.

რაჭაში გავრცელებულია საფერხულო წყობის მაყრულები. საკუთრივ რაჭული სტილისად შეიძლება ჩათვალოს შუა და ქვემო რაჭაში გავრცელებული ტიპი. მთარაჭული და ზემორაჭული სამწიდადი მაყრულები აღმოსავლეთ საქართველოს მთის *ფერხისებთან* მჭიდრო კავშირით გამოირჩევა. როგორც მუსიკალურად, ისე სოციალური ფუნქციით, *ფერხისების* ანალოგიურია რაჭული *მთავარანგელოზის სიმღერა*, რომელიც სრულდება გზაშიც და – სალოცავშიც (სალოცავში – ფერხულად). აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებიდან რაჭული საფერხულოები ყველაზე მეტად მოხეურს ენათესავენ.

მძიმე, პირქუში ხასიათისაა დაღუპული მონადირის ციკლთან დაკავშირებული რაჭული *ყურშას* ფერხულები. სამგლოვიარო სიმღერებთან ინტონაციური სიახლოვე მისი გლოვის რიტუალში შესრულებითაც დასტურდება.

დიდება ბრძანე სადიდებელი სიმღერების რაჭული ვარიანტია. ეთნოგრაფიული და მუსიკალური მონაცემები მის საფერხულო წარმომავლობას ადასტურებს.

თუკი ამოსავალ წერტილად საფერხულო სიმღერებს მივიჩნევთ, რაჭულის დიალექტოლოგიური დანაწევრებისას შეიძლება, ერთი მხრივ, გავაერთიანოთ მთარაჭული და ზემორაჭული (ერთ-ერთი ნიშანი – მარცვალშიდა გამღერების სიუხვე) და, მეორე მხრივ, ქვემორაჭული. ამგვარი დაყოფა იმეორებს ენათმეცნიერულ და ანთროპოლოგიურ შეხედულებას.

საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, **სვანეთმა** ბოლო დრომდე ყველაზე უკეთ შემინახა საფერხულო ტრადიცია, სვანური სიმღერების უდიდესი ნაწილი დღესაც ფერხულად სრულდება.

სამონადირეო თემატიკასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სვანურ საფერხულოში შეინიშნება გარკვეული კავშირი ტირილის ინტონაციებთან, თუმცა, რაჭული *ყურშასგან* განსხვავებით, ეს სიმღერები არ არის გამოკვეთილი ტრაგიკული ხასიათისა. სამონადირეო სიუჟეტზე აგებული ზოგიერთი სიმღერის „მურყვამობა-კვირაობის“ რიტუალში შესრულება მათ ნაყოფიერების კულტთან აკავშირებს.

სვანური საკულტო საფერხულოების რამდენიმე ნიმუში (*ლილე*, *დიდება თარინგ ზელარს*, *ლაგუშედა*) ერთ მელოდიურ-პარმონიულ ქარგასა (ძველქართული ტერმინით – „ხმაზე“) და სიუჟეტზე აიგება. ისინი, ძირითადად, „მთავარანგელოზის“ („თარინგ ზელარის“) კულტს უკავშირდება. სათუთა *ლილე* მზის კულტისადმი უპირობო კუთვნილებაც. „თარინგ ზელარის“ პანგზე აგებული

ზოგიერთი საგმირო შინაარსის სიმღერა, ასევე მისი ინტონაციური ფონდის გამოყენება ზოგიერთ ლაშქრულ სიმღერაში, ამ დეთაების მეომრულ ბუნებას უნდა უსვამდეს საზს.

ძველ ჩანაწერებში იშვიათია სვანური საფერხულო საცეკვაოში გადასვლა, რაც სასცენო პრაქტიკაში დღეისათვის ლამის კანონად ქცეული აუცილებლობაა. ასევე ცალ-ცალკე ფიქსირდება *თამარ დედფალის* ციკლში გაერთიანებული საფერხულოებიც.

განსხვავება შეინიშნება სვანურ საფერხულო და საცეკვაო//სათამაშო სიმღერებს შორის. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი სიმღერა სრულდება, როგორც ცეკვის, ისე – ფერხულის სახით. მხოლოდ სვანეთში გვხვდება ორგუნდოვანი სათამაშოები, თუმცა, თავის მხრივ, ისინიც განსხვავდება სვანური საფერხულოების უდიდესი უმრავლესობისგან, კერძოდ: სვანურ საცეკვაოებში პირველი გუნდი მუხლის პირველ ნახევარს ამბობს, მოპასუხე კი – ამთავრებს; საცეკვაოების უდიდესი ნაწილი მთლიანად გლოსოლალიებზე აიგება; სვანურ საფერხულოთა დიდ უმრავლესობაში კი მეორე გუნდი მთლიანად პირველის მუსიკალურ და სიტყვიერ ტექსტს იმეორებს, მათში გლოსოლალიები რეფრენის ან მისამღერის სახით გამოიყენება.

საკრავზე გადატანილი ან საკრავით თანხლებული სვანური საფერხულო სიმღერები (რომლებიც უფერხულოდ სრულდება), საფერხულოებისგან განსხვავებულ სახეობად მიგვაჩნია.

საფერხულო სიმღერებით, ალბათ, ყველაზე მწირი კუთხე **ღენხუშია**. აქ ჩაწერილი მასალა წმინდა დასავლურქართული ტიპისაა, ენათესავება რაჭულსა და სვანურს.

იმერულ საფერხულო სიმღერებში ორი ჯგუფის – ზემო და ქვემოიმერულის გამოყოფა შეიძლება. სამწილადობით ზემოიმერული ვარიანტები აღმოსავლურქართულსა და რაჭულს ემსგავსება, ხოლო ორწილად ზომილად აგებული ქვემოიმერული – გურულსა და მგურულს. აღსანიშნავია ერთ-ერთი ზემოიმერული ფერხული, რომელიც ინტონაციურად გურულ ფერხულს ენათესავება. იმერული საფერხულო *ქრისტე აღდგას* ჩანაწერი ზოგიერთ კახურ დიდებას მოგვაგონებს.

გურიაში *ფერხულის* სახელწოდების მხოლოდ ერთი მუსიკალური ტიპია შემორჩენილი. მის ვარიანტებზე დაკვირვება ავლენს თანდათანობითი გართულების, პოლიფონიზების ტენდენციას XX ს-ში. აღნიშნული მკაფიოდ

ვლინდება მაღალი ხმის პარტიაში, რომელშიც ეტაპობრივად ჩნდება ჯერ „წერილი“, შემდეგ „გამყიფანი“, ბოლოს კი „კრიმინალური“.

გურული საფერხულოს განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს *იარაგაშა*.

დასაველეთ საქართველოს ბარის კუთხებიდან საფერხულო სიმღერების შედარებითი მრავალფეროვნებით **სამეგრელო** გამოირჩევა. გამოიყოფა საფერხულოების ორი ტიპი – ანტიფონური და რესპონსორული. რესპონსორულ ფორმაზე აგებული საფერხულოები ნაწილობრივ კავშირს ავლენს სათამაშოებთან, თუმცა საფერხულო და საცეკვაო სიმღერებს სამეგრელოშიც განსხვავებული სტილური თვისებები აქვს.

მეგრულში არ დამოწმდა ფერხულის შესატყვისი ერთსიტყვიანი ტერმინი; ხშირად, მსგავსი სიტყვები წარმოდგება არა „ფეხი“-დან (როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში), არამედ – „მხარი“-დან.

ტერმინი „ოსხაპუე“, როგორც წესი, უკავშირდება საცეკვაოს და არა – საფერხულოს.

სამწილად ზომაზე აგებული კარდაკარ დავლის (ასევე – საქორწილო) ზოგიერთი მეგრული სიმღერა, აღმოსავლურქართულ საფერხულოებს ემსგავსება.

სამეგრელოში ზოგიერთ საფერხულოსა და შრომის სიმღერას ერთი და იგივე ჰანგი აქვს.

